...ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი ხევი

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო
АХАЛИ ХЕВИ Орган Казбегского райкома компартии Грузии и райсовета депутатов трудящихся.

№ 25 (1534) ხუთშაბათი, 29 მარტი, 1956 წ. ფ. 10 კაპ.

## აღვკვეთოთ შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმართულია ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისაკენ, ახალ ამოცანებს უსახავენ წარმოება-დაწესებულებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, მათს წესიერ მუშაობაზე დიდად იქნება დამოკიდებული საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც კარგად არის დაყენებული პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ადევნებენ თვალყურს აპარატის მუშაობას, თვითეული მუშაკის საქმიანობას, იქ მუშაობაც ნაყოფიერია, ხოლო იქ სადაც ეს არ კეთდება ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს.

როგორც შემოწმებით გამოირკვა შრომის დისციპლინას სისტემატურად არღვევენ კომუნალური განყოფილების, კავშირგაბმულობის რაიკანტორისა და სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს მუშაკები. ფოსტის თანამშრომელი ნ. საბაური ხშირად 30 წუთით გვიან ცხადდება სამუშაოზე, ზოოვეტუბნის გამგე ნ. სიჭინავა 19 მარტს დილის პირველ საათზე მივიდა სამუშაო კაბინეტში.

ამის წინათ სამუშაო საათებში რესტორანში ატარებდნენ დროს სოფლის მეურნეობის რაისამმართველოს მუშაკები ვ. წიკლაური, ა. გოგატიშვილი, გ. ჩქარეული, ვ. დავითაშვილი; თვალყურს არავინ ადევნებს წარმოება არშის ანდეზიტის მუშების მუშაობას. აქ ბევრჯერ ადგილი ჰქონდა არა მარტო სამუშაო საათების, არამედ სამუშაო დღეების გაცდენის შემთხვევებსაც.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, პარტიულ ორგანიზაციებს ერთხელაც არ გახსენებიათ კრებაზე განეხილათ შრომის დისციპლინის ეს უხეში დარღვევის საკითხი. მათავიწყდებათ, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან დაწესებულებაში საქმის მდგომარეობისა და აპარატის სრულყოფილად მუშაობისათვის.

როგორ შეიძლება ამა თუ იმ მუშაკის სინდისი შეურიგდეს სამუშაო საათების თუნდაც 5 წუთით გაცდენას მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება მუშამოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ. მთავრობის ამ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობაზე შემოქმედებითი შრომით უნდა ვუპასუხოთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამუშაო საათის ყოველი წუთი.

წარმოება-დაწესებულებათა პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია გადაჭრით ებრძოლონ შრომის დისციპლინის დარღვევებს, პარტიულ ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებით უზრუნველყონ აპარატის წესიერი და ნაყოფიერი მუშაობა.




ზრდა ნაციონალური შემოსავლის, მუშა-მოსამსახურეთა ხელფ[illegible]
და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდა მეექვსე ხუთწლედში.



## სერგეი მირონის-ძე კიროვი

27 მარტს 70 წელი შესრულდა სერგეი მირონის-ძე კიროვის დაბადებიდან.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ს. მ. კიროვი დაიბადა ვიატკის გუბერნიის (ამჟამად კიროვის ოლქი) ქალაქ ურჟუმში. 1904 წელს დაამთავრა ყაზანის მექანიკურ-ტექნიკური სასწავლებელი. აქ გაიცნო მან პოლიტიკურ საქმეზე გადასახლებულნი, დაიწყო რევოლუციური ლიტერატურის შესწავლა, მოაწყო ახალგაზრდობის წრეები, ბეჭდავდა და ავრცელებდა რევოლუციურ ფურცლებს.

1904 წლის დამლევს კიროვი შევიდა ქალაქ ტომსკის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბოლშევიკურ ჯგუფში. ამ დროიდან გახდა იგი პროფესიული რევოლუციონერი. რევოლუციური მოღვაწეობისათვის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული.

1909 წლის მაისში, ემალებოდა რა მეფის პოლიციას, იძულებული გახდა გადმოსულიყო ვლადიკავკაზში (ქ. ორჯონიკიძეში). კიროვი აქ სათავეში ჩაუდგა არალეგალურ ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ კიროვი არჩეული იქნა ვლადიკავკაზის საბჭოს წევრად. აქ მან დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის საქმეში.

1921 წლის თებერვალში კიროვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკების ბატონობისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლებაში. 1923-24 წლებში იგი ორჯონიკიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს ტროცკისტების განადგურების საქმეში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღიდანვე კიროვი იყო საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შემადგენლობაში, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1930 წლიდან არჩეული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად, ხოლო 1934 წლიდან—ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ს. მ. კიროვი იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, კომუნიზმისათვის გამარჯვებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

მთელი საბჭოთა ხალხი და პროგრესული კაცობრიობა გულის ხსოვნაში ინახავს ხსოვნას მებრძოლის ს. მ. კიროვის ნათელ ხსოვნას.

## მთელი ძალები მოვახმაროთ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას

### კოლმეურნე მეცხოველეთა პირობა

ჩვენი კოლმეურნეობის წევრებს შორის დიდი აღფრთოვანება და ინტერესი გამოიწვია მშობლიური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. კმაყოფილებითა და სიხარულით აღვსილი კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ ყრილობის პასუხად მთელ თავიანთ ძალებს წარმართავენ მეცხოველეობაში წარმატებათა მოსაპოვებლად.

როცა ამხ. ფ. თამასხანოვი არტელის წევრებს ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს აცნობდა, მეძროხეობის ფერმის მუშაკებმა თ. ალიბეგაშვილმა და ჟ. ქავთარაშვილმა განაცხადეს:

— კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ახალი დიდი ნაბიჯია კომუნიზმის აშენების გზაზე. ჩვენი ვალია პირნათლად და კეთილსინდისიერად შევასრულებდეთ იმ მოვალეობას, რასაც კი მეცხოველეებს გვაკისრებს პარტია. პირობას ვიძლევით ჩვენზე გაპიროვნებული ძროხებიდან სრულად მივიღოთ ნამატი და შევინარჩუნოთ კიდეც, ლაქტაციის პერიოდში თვითეული ძროხიდან მივიღებთ 800 ლიტრ რძეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 725 ლიტრისა.

დღეისათვის მეძროხეობის ფერმაში 25 ჯანსაღი ხბოა მიღებული და შენარჩუნებული. მოწინავე მეცხოველეების თამარ ალიბეგაშვილისა და ჟიულია ქავთარაშვილის სიტყვა და საქმე ერთია.

**გ. სუჯაშვილი,**
ყაზბეგის ფ. მახარაძის სახელობის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი.

### იბრძვიან ნამატის შენარჩუნებისათვის

პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული სიონის კოლმეურნეობის მწყემსები: პ. ავსაჯანიშვილი, ზ. ქუქიშვილი, შ. გელაძე, შ. ავსაჯანიშვილი შრომის დაუზოგავად იბრძვიან დოლის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. 18 მარტისათვის ფერმაში უკვე მიღებულია 710 ბატკანი.

დიდი მზრუნველობით უვლის ლუბ დედაცხვარს კომუნისტი ვ. ლუდუშაური. თითქმის 4 კილომეტრის მანძილიდან ეზიდება მათთვის წყალს, კვებავს თივით, შვრიითა და ქერით. 60 სულიდან ყველა შეინარჩუნა, გამოზარდა 12 ჯანსაღი ბატკანი.

ბრიგადირმა ს. გელაძემ პირობა დადო, რომ მწყემსებს დარაზმავს პარტიისა და მთავრობის მიერ მეცხოველეობის დარგში დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, არ დაუშვებს ნამატის სიკვდილიანობას.

**ი. ლუდუშაური.**

### მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში რაიონის კულტურის განყოფილება ატარებს „საბავშვო და მოზარდი ახალგაზრდობის კვირეულს".

„კვირეულის" რეპერტუარში შეტანილია მხატვრული კინოფილმები: „ცისკარა", „ქაჯანა", „ვარსკვლავები ფრთებზე", „კვალი თოვლზე", „ეფრეიტორ კოჩეტკოვის შემთხვევა" და სხვ.

საჭიროა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებმა და პიონერხელმძღვანელებმა ორგანიზებულად მოაწყონ კინოფილმების კვირეულზე მოსწავლეთა დასწრება.

**ზ. გიგაური.**

### მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება
(20 მარტისათვის)

| სასოფლო საბჭოების დასახელება | ხორცი პროცენტებში | რძე პროცენტებში |
|---|---|---|
| ყაზბეგის | 100,7 | 132,3 |
| სიონის | 111,3 | 288,5 |
| გორისციხის | 69,1 | 276,2 |
| სნოს | 56,5 | 328,3 |
| ლარსის | 67 | 81,7 |
| დარიალის | 80 | 72,3 |
| კობის | 54,2 | 161,2 |
| თრუსოს | 25 | 146,2 |
| სულ . . . | 74,8 | 208,6 |

პარტიული ცხოვრება

## პარტიის ყაზბეგის რაიკომში

რაიონის რიგ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნიათ პარტიული მეურნეობისა და კომუნისტთა აღრიცხვის მოწესრიგების საქმეში. სათანადო ყურადღება არ ექცევა პარტიული ინფორმაციის სწორად დაყენებას, კრებების ოქმების წესიერად გაფორმებას, პარტიული დოკუმენტების შენახვისა და დაცვის საკითხებს. კობის, დარიალის ტერიტორიულ, სიონისა და კობის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში საჭირო სიმაღლეზე არა დგას კომუნისტების პერსონალური აღრიცხვა, ფორმა № 11-ში არ შეაქვთ კომუნისტის დაბადების წელი, პარტბილეთის ნომერი, ამა თუ იმ პირის აღრიცხვაზე აყვანისა და მოხსნის თარიღები და სხვ.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები დროულად არ ახდენენ კომუნისტების პერსონალური აღრიცხვის შედარებას რაიკომში არსებულ საალრიცხვო ბარათებთან.

არის შემთხვევები, როცა კომუნისტები რამდენიმე თვის განმავლობაში სხვაგან არიან წასული სამუშაოდ, ხოლო ორგანიზაციის სიაში კი ირიცხებიან, პარტიული ორგანიზაციების მდივნები არ ზრუნავენ მათი აღრიცხვიდან დროულად მოხსნაზე.

ყაზბეგის და თრუსოს ტერიტორიული, სასამართლო-პროკურატურასთან არსებული პარტიული-ორგანიზაციები სისტემატურად აგვიანებენ საწევრო შესატანების აკრეფასა და შემსალაროში ჩაბარებას.

ამას წინათ პარტიის ყაზბეგის რაიკომის ბიურომ მოისმინა პარტიულ ორგანიზაციებში შექმნილი აღნიშნული მდგომარეობის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

## ვსწავლობთ ყრილობის მასალებს

პოლიტიკური განათლების ყველა ფორმაში ამჟამად სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს. ჩვენ, როგორც კონსულტანტებმა, უპირველეს ყოვლისა შევადგინეთ სამეცადინო გეგმა, მთლიანად წავიკითხეთ ყველა დოკუმენტი, ყველაფერი ეს გავაცანით საკონსულტაციო ჯგუფის წევრებსაც.

შეკრების პირველ დღეს ვისაუბრეთ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენების პირველ თავზე. ჯგუფის ყველა წევრს მივუთითეთ, თუ რომელი საკითხისათვის როგორ მიექცა ყურადღება; შევადგინეთ კონსპექტები. ამ თავის შესწავლის დროს ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ საერთაშორისო ვითარების მთავარი ნიშანი ამჟამად არის ის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გადაიქცა მსოფლიო სისტემად. ამის შემდეგ ვილაპარაკეთ საბჭოთა კავშირში მრეწველობის ზრდის ტემპებზე. ამავე დროს მოვიყვანეთ ციფრობრივი მაჩვენებლები კაპიტალისტურ ქვეყნებში მრეწველობის ზრდის ტემპების შესახებ. მსმენელებს აქ განვუმარტავდით, რომ მრეწველობის ყველა დარგში ასეთი გიგანტური ტემპები აიხსნება იმით, რომ ჩვენთან დიდი ხანია ლიკვიდირებულია წარმოების კაპიტალისტური წესი.

ამავე დროს დავასახელეთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებსაც კარგი შედეგები აქვთ ამ მხრივ. ვილაპარაკეთ იმ უანგარო და უღრესად მეგობრულ დახმარებაზე, რასაც ჩვენი ქვეყანა უწევს სოციალიზმის ბანაკის სხვა ქვეყნებს, აგრეთვე იმ ფაქტორებზე, რომლებიც კაპიტალიზმის ქვეყნებში წარმოების ერთგვარ ზრდას იწვევენ. ინტერესი გამოიწვია სხვა ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების ფორმების, ომების გარდუვალობის საკითხებმა და სხვ.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის განხილვისას შევისწავლეთ ყველა ის გაბედული ინიციატივა, რაც ჩვენმა მთავრობამ გამოიჩინა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

პარტიის XX ყრილობის მასალების გულდასმით შესწავლა ჩვენი გადაუდებელი მოვალეობაა. ამას გრძნობს ჩვენი საკონსულტაციო ჯგუფის ყველა წევრი და ამიტომაც ღრმა ინტერესით მოვკიდეთ ხელი მათ შესწავლას.

ახალი მოთხოვნების შესაბამისად რომ გარდავქმნათ მუშაობა, ამისათვის პირველ რიგში საჭიროა ამ ისტორიული ყრილობის ყველა დოკუმენტის კარგად, საფუძვლიანად შესწავლა.

კონსულტანტები: **გ. ოდიშვილი, ნ. გიგაური.**

## წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 19 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ წერილში აღნიშნული იყო, რომ გორისციხის სასოფლო კლუბსამკითხველო ხშირად დაკეტილია, ადგილი აქვს უწესრიგობას და სხვ. კულტურის რაიონული განყოფილების გამგე ამხ. გ. გიგაური გვწერს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერებოდა; კლუბსამკითხველოს გამგე ლ. ავსაჯანიშვილი სუსტი მუშაობისათვის მოხსნილია თანამდებობიდან, დასახულია ღონისძიებანი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

# საერთაშორისო მიმოხილვა

## გაკოტრებული პოლიტიკა

მოძრაობა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, ყველა სახელმწიფოს შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის მოიცავს ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეებს. საზოგადოებრიობის მოთხოვნები სულ უფრო ხშირად პოულობს გამოხატულებას გაზეთების, საზოგადო მოღვაწეებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა გამოსვლებით, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. ისინი საეჭვოდ ხდიან ეგრეთწოდებულ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის სისწორეს.

ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა დასავლეთ ევროპის ზოგიერთი დიდი პოლიტიკური მოღვაწის გამოსვლები ამ უკანასკნელ დღეებში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პინომ სიტყვა წარმოთქვა 2 მარტს პარიზში და პირდაპირ განაცხადა, რომ საფრანგეთი არ ეთანხმება „დასავლეთის პოლიტიკის მიმართულებას ომისა და მშვიდობის საკითხებში“. მან თქვა, რომ სწორად არ მიაჩნია „წმინდა სამხედრო ძალაზე დამყარება“. პინომ მოითხოვა გადაისინჯოს დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა. სამხედრო ბლოკების პოლიტიკა გააკრიტიკა იტალიის პრეზიდენტმა გრონკიმ. სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ამასწინათ იყო, გრონკიმ განაცხადა, რომ გაძლიერებული საომარი მზადების პოლიტიკამ მოჭამა დრო და აღარ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას.

„ძალის პოზიციის“ პოლიტიკის კრიტიკა შესამჩნევად გაძლიერდა აგრეთვე ინგლისში. ამასწინათ, მაგალითად, პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა ზილიამ კუსმა განაცხადა, რომ ინგლისი „გაკოტრებისაკენ მიდის, რადგან მთავრობის დაუსაბუთებელი საგარეო პოლიტიკა იმას იწვევს, რომ ინგლისს თავს ახვევენ აუტანელ ვალდებულებებს და სამხედრო ხარჯებს“.

ყველა ამ განცხადებამ, განსაკუთრებით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პინოს გამოსვლამ, დიდძალი გამოხმაურება გამოიწვია. უცხოელ მიმომხილველთა სიტყვით, პინოს გამოსვლამ დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქებში ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს „ბომბი გამსკდარიყო“. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა იდენმა სასწრაფოდ მიიწვია საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი გი მოლე ლონდონს მოსალაპარაკებლად. დიდად შეშფოდნენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის დამცველები ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იარაღის მეფაბრიკეებს არა სურთ ხელი აიღონ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკაზე, რომელიც ხელსაყრელია მათთვის.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი ჯერ კიდევ ჩასჭიდებიან თავიანთ გაკოტრებულ პოლიტიკას. ამას, კერძოდ, მოწმობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის საბჭოს (სეატო) სესია, რომელიც ამასწინათ გაიმართა პაკისტანის დედაქალაქ კარაჩში. სესიამ, ისევე როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკმა (ბლოკში შედიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, პაკისტანი, ტაილანდი, ფილიპინები) უნდა დაიმონ... აზიის ხალხები, შექმნას ... ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის ... ნამძლევარები. სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა პირდაპირ მოითხოვა, რომ სეატო ... ემსახურებოდეს ამერიკის პოლიტიკის — „აზიელთა ხელით აზიელთა წინააღმდეგ ბრძოლის“ პოლიტიკის განხორციელების მიზნებს.

მაგრამ აზიის ხალხებს არ სურთ ეს. სეატო დაგმეს აზიის უდიდესმა სახელმწიფოებმა, თვით კარაჩის სესიაზე გაისმა ძახილი გამალებული შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ.

არჩევს რა დასავლეთის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეთა კრიტიკულ გამოსვლებს, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი გაზეთი მ... მოითხოვს, რომ ამ ქვეყნებმა გაითვალისწინონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა და მხარი დაუ... რონ მათ, ხელი აიღონ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკაზე.

## სსრ კავშირისა და დანიის მეგობრობისათვის

2-6 მარტს მოსკოვში იყო დანიის პრემიერ მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანსენი. მას და მის თანმხლებ პირებს საუბრები ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებთან. საბჭოთა კავშირ-დანიის კომუნიკე, რომელიც ამის თაობაზე გამოქვეყნდა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტია. კომუნიკეში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აზრთა გულახდილი გაზიარება იმ საკითხებზე, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს, მიმდინარეობდა მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობას საფუძვლად უნდა ედოს შემდეგი პრინციპები: მშვიდობიანი თანაარსებობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სუვერენიტეტის პატივისცემა, თავდაუსხმელობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ სწორედ ეს პრინციპები წარმოადგენენ ახლანდელ პირობებში სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა ურთიერთობის საუკეთესო ფორმულას. ორივე მხარემ გამოთქვა აგრეთვე მისწრაფება ხელი შეუწყონ ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას, როგორიც არის გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და მტკიცე უშიშროების უზრუნველყოფა. გათვალისწინებულია აგრეთვე შესაძლებლობა, რომ სსრ კავშირსა და დანიას შორის გაფართოვდეს ვაჭრობა, აგრეთვე კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა.

დანია ჩრდილოეთ ევროპის ერთ-ერთი პატარა ქვეყანაა. მისი მოსახლეობა ცოტათი აღემატება 4 მილიონს. როგორც ეკონომიურად განვითარებული ქვეყანა, დანია განსაკუთრებით განთქმულია თავისი მაღალპროდუქტიული მეცხოველეობით, რომელიც ექსპორტისათვის იძლევა მნიშვნელოვანი რაოდენობით ერბო-კარაქს, ყველს, კვერცხს, ბეკონსა და სხვა პროდუქტებს. 1949 წელს დანია ჩაითრიეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა მის ეკონომიკაზე: სამხედრო ხარჯები გადიდდა რამდენჯერმე, გადიდდა გადასახადები, გაუარესდა საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობა. ამ უკანასკნელ ხანს დანიის საქმიან წრეებში გაისმის მოთხოვნები გაფართოვდეს ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანასთან.

სსრ კავშირსა და დანიას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს. დანიის გაზეთი „პოლიტიკენი“, ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ დანიის ეკონომიკა სარგებლობას ნახავს საბჭოთა კავშირ დანიის მოლაპარაკებით, სამართლიანად წერს: ვაჭრობა და უფრო მჭიდრო ურთიერთობა ერებს შორის ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას ევროპის ჩრდილოეთსა და მთელ მსოფლიოში.

ი. ლაპიძე.

ყაზბეგი გაზეთ „ახალი ხევი“-ს სტამბა ტირაჟი 1100 რედაქტორი გ. ჩაბაკაური.